

**თუ ხელისუფლება დაინახავს, რომ ქვეყნის სათავეში
ყოფნის არანაირი პერსპექტივა არა აქვს, შეიძლება,
რუსეთთან ომიც კი დაიწყოს!**

გაზეთი “ასავალ-დასავალი” – 12-18 დეკემბერი, № 50, 2011.

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის იდეას ახალი ქალაქის შექმნის შესახებ, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით?

– თავდაპირველად მე გავიხსენებ პრეზიდენტის სიტყვას ქუთაისში მთავრობის სახლის გახსნაზე. მან თქვა, რომ ქუთაისში გადმოვა პარლამენტი და ქუთაისიდან თვითმფრინავები იფრენენ ლონდონში, პარიზში, ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში. თბილისიდან არ დაფრინავენ თვითმფრინავები ყველა ამ ქალაქებში. თბილისის აეროპორტიდან რეისები სრულდება ყველაზე ცუდ დროს, შუადამით და მგაზვრები ძილგატეხილია ამის გამო. ქუთაისიდან როგორ უნდა შესრულდეს ეს რეისები და ვინ ან რატომ უნდა იფრინოს? მე ამ განცხადებას გუყურებ იუმირით და ასევე იუმორისტულად უნდა მივუდგეთ ახალი ქალაქის შექმნის იდეას, რომელიც ძალიან მაგონებს ილფის და პეტროვის ცნობილი ნაწარმოების „12 სკამის“ „ნიუ ვასიუკის“.

რა თქმა უნდა, ისტორიაში ყოფილა, რომ ქვეყნის მმართველებს მიუღიათ გადაწყვეტილება ახალი ქალაქის მშენებლობის ან დედაქალაქის გადატანის შესახებ, მაგრამ ამას ჰქონდა კონკრეტული მიზანი. ცალკე საკითხია, რა ფინანსური რესურსით უნდა აიგოს ქალაქი? მაგალითად, ყაზახეთს, როცა დედაქალაქი ალმა-ატადან ასტანაში გადაიტანა, ამის ფინანსური რესურსიც ჰქონდა და მიზანიც!

– მგონი, რომ მიზანი სააკაშვილსაც აქვს.

– მას აქვს ის მიზანი, რომ ისტორიაში შევიდეს, როგორც აღმაშენებელი. ცოტა ხნის წინ ამბობდა, რომ უნდა 200 სართულიანი შენობის აშენება საქართველოში. ამაზე უფრო შთამბეჭდავია ქალაქის აშენება, რომელსაც ერქმევა ლაზიკა.

დღეს ქვეყანა იმყოფება კრიზისში, და თუ კი მოსახლეობაში არ იგრძნობა ისეთი დიდი სიდუხჭირე, რაც რეალურად უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკის

პირობებში, ეს განპირობებულია იმით, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის მერე ჩვენ მივიღეთ ძალიან დიდი ფინანსური დახმარება. 2 თვის წინ ფინანსთა მინისტრმა თქვა, რომ ამ თანხის 40 პროცენტი ჯერ კიდევ არ არის გახარჯული. ახლა წარმოიდგინეთ, ქვეყანამ, რომელიც არსებობს საერთაშორისო დახმარებით, დაიწყოს ახალი ქალაქის მშენებლობა.

– პრეზიდენტმა თქვა, რომ ეს ქალაქი აშენდება ინვესტიციებით...

– რომელ ინვესტიციების მოზიდვაზეა საუბარი, როცა მთელი მსოფლიო არის კრიზისში და ყველა ელოდება სიტუაციის გამწვავებას ევროზონაში? ასეთ კრიზისულ ვითარებაში ვინ ჩადებს საქართველოში ფულს ქალაქის მშენებლობაში? მითუმეტეს, იმ ქალაქის, რომელიც უნდა იყოს აფხაზეთთან ახლოს და მითუმეტეს, იმ ვითარებაში, როცა არ წყდება აგრესიული გამონათქვამები თბილისიდან მოსკოვის მიმართულებით და პირიქით, მოსკოვიდან თბილისის მიმართულებით?! ამასთან, ეს არის დაცული ტერიტორია და ჭაობი ადგილი, რის გამოც ხარჯი კიდევ უფრო დიდი იქნება, თავი დაავენებოთ იმას, რომ შეიქმნება ეკოლოგიური პრობლემები.

ცალკე საკითხია, თუ ვინ უნდა იცხოვროს ამ ქალაქში? ქალაქის მოსახლეობას უნდა არა მარტო დასაძინებელი კორპუსები, არამედ სამუშაო ადგილი. სოფლის მაცხოვრებელმა, რომელიც თავს მიწის დამუშავებით ირჩენს, რა უნდა აკეთოს ქალაქში? ჩვენი ეკონომიკა არის პრაქტიკულად ჩამოშლილი. ასეთ ვითარებაში, ვეჭვობ, რომ ახალ ქალაქში გაჩნდეს ახალი სამუშაო ადგილები. ამის გამკეთებელი რომ იყოს ჩვენი ხელისუფლება, სამუშაო ადგილები უნდა გაჩენილიყო უკვე არსებულ ქალაქებში.

– ბატონო ლადო, ახალი ქალაქის შექმნის იდეას, თქვენ უკავშირებთ წინასაარჩევნო კამპანიას. არჩევნებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა ბიძინა ივანიშვილმა. მისი საზოგადოებრივი მოძრაობის პრეზენტაცია უკვე შედგა. სააკაშვილმა თქვა, რომ ივანიშვილის გამოჩენით არაფერი შეცვლილა.

– ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. თუ ეს ასეა, რატომ გაუუქმეს ასე სასწრაფოდ მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს? რატომ ხდება ასეთი შეტევა „ქართუ ბანკზე“? ჯერ საინკასაციო მანქანიდან 3 მილიონი წაართვეს, მერე მის გამო კანონდებლობა შეცვალეს და ბანკს გირაოში ჩადებული ქონება დაუყადაღეს. ეს პრაქტიკულად არის დაყაჩაღება. ეს არის ღია, აგრესიული ბრძოლა, რომელიც ეროვნულმა ბანკმა გამოუცხადა საქართველოს ერთ-ერთ

კომერციულ ბანკს – „ქართუ ბანკს“. როგორც კი ივანიშვილმა იყიდა 10 პროცენტისანი წილი „პროგრესს ბანკში“, ეროვნული ბანკი იქაც შევიდა.

ივანიშვილის გამოჩენით ქართულ პოლიტიკაში ბევრი რამ შეიცვალა, უპირველესად ის, რომ გაჩნდა იმედი, რომელიც ჩაკლა სააკაშვილმა. არც ოპოზიციური პარტიების უმეტესობას აღმოაჩნდა ის შინაგანი მუხტი, რომ შებრძოლებოდა სააკაშვილს. ბიზნესზე ტერორის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ის იყო, რომ, მათ არ დაეფინანსებინათ ოპოზიცია და მიაღწიეს კიდევ მიზანს, ბიზნესს ეშინია ოპოზიციის დაფინანსება. ამ დროს, როცა თითქოს ყველაფერი კარგად იყო, გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი.

საკაშვილს ძალიან უნდა ივანიშვილი დაუკავშიროს რუსეთს, მაგრამ არ გამოსდის. მხოლოდ იმას ამბობენ, ფული რუსეთში იშოვაო. მარტო 2011 წელს მთავრობამ 2 ჰესი და სამი ახალი ჰესის აშენების ნებართვა რომ მიჰყიდა „ინტერ-რაოს“, რუსული ფული არ არის ეს?

– ატყობთ შიშს ხელისუფლებას ივანიშვილის გამო?

– ხელისუფლებას ივანიშვილის შიში ნადვილად აქვს, მაგრამ ის ამავე დროს საკმაოდ ბრძოლისუნარიანია. ხელისუფლება დიდი ბრძოლისთვის ემზადება. ჯერჯერობით მხოლოდ აგებენ. მათი მხრიდან გადაგებული ყველა ნაბიჯი არის შეცდომა. მე ერთხელ უკვე ვთქვი და გავიმეორებ, თუ ხელისუფლება იქნება კუთხეში მიყენებული და დაინახავს, რომ ქვეყნის სათავეში ყოფნის არანაირი პერსპექტივა არა აქვს, შეიძლება რუსეთთან ომიც კი დაიწყოს. სწორედ იმიტომ, რომ არ მინდა ასე რომ მოხდეს, იმიტომ ვაკეთებ ამ განცხადებას.

„ნაციონალებმა“ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ისევ ხელისუფლებაში იყვნენ, დაწყებული პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღებიდან. წარმოიდგინეთ, პრემიერ-მინისტრი, რომელიც უნდა იყოს ქვეყნის მმართველი, უნდა აირჩიოს პარლამენტმა, პრეზიდენტი, კი რომელიც იქნება შედარებით ფორმალური თანამდებობა, უნდა აირჩიოს ხალხმა. ამდენი იწვალეს, შეცვალეს კონსტიტუცია და ამ დროს ჩნდება საშიშროება, რომ შეიძლება „ნაციონალებმა“ პარლამენტში უმრავლესობა ვეღარ მოიპოვონ. ამიტომ თუ მანამდე აწყობდათ პარლამენტარების რიცხვის გაზრდა, თუ მომავალ პარლამენტში ადგილები უკვე გადანაწილებული ჰქონდათ „ნაციონალებს“, „ქრისტიან-დემოკრატებსა“ და „ახალ მემარჯვენებს“ შორის, ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ვითარება შეიცვალა, ახლა პარლამენტართა რიცხვის ზრდა

შესაძლოა აღარ აწყობდეთ. ახალ ვითარებაში კი შესაძლოა პარლამენტში იყვნენ “ნაციონალები”, ივანიშვილის საარჩევნო ბლოკი და გარკვეული ალბათობით “ქრისტიან-დემოკრატები”, ხოლო „ახალი მემარჯვენეები“ უკვე საჭირო აღარ იქნებიან. „ქრისტიან-დემოკრატების“ ჩამოწერა მათთვის ასე იოლი არ იქნება, რადგან ამ გაყალბებულ გამოკითხვებში ისინი სულ წამყვან პოზიციებზე ჰყავდათ.

ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლება სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება და ყველაფერია მოსალოდნელი. თუ სააკაშვილი ქვეყანაში პირველი კაცი არ იქნება, შეიძლება მან აირჩიოს ის, რომ იყოს დევნილი პრეზიდენტი.

– ბატონო ლადო, ასე ძნელია ხელისუფლების დაკარგვა, რომ შეიძლება ომზეც კი წავიდნენ? თქვენც ხომ იყავით ხელისუფლებაში?

– ჩემს თავზე ნუ მაღაპარაკებთ, ჩემთვის ხელისუფლებაში ყოფნა თვითმიზანი არ ყოფილა, არ ვარ მთავრობაში და ვეწევი სამეცნიერო საქმიანობას. მათ რა უნდა გააკეთონ? არიან ადამიანები, რომლებიც თუ ხელისუფლებაში არ არიან, საერთოდ არაფერს წარმოადგენენ, საზოგადოებრივი თვალსაწიერიდან ქრებიან. ისინი ყველაფერზე არიან წამსვლელი...

ესაუბრა თეა ასათიანი